აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N 4

ქ. ბათუმი **26 დეკემბერი 2019 წელი**

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე:

1. თორნიკე კუჭავა - მინისტრის პირველი მოადგილე.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

2. არჩილ სირაბიძე - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

3. ნუგზარ ცინცაძე - საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
4. გიორგი მიქელაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელშეკრულებო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე;
5. ნუგზარ ძნელაძე - სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

სატენდერო კომისიის აპარატი:

პაატა ცეცხლაძე - სახელმწიფო შესყიდვების, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ანალიზის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
რეზო ქათამაძე - ადმინისტრაციული დეპარტამენტის შტატგარეშე მოსამსახურე მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი.
მინდია თედორაძე - სახელმწიფო შესყიდვების, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ანალიზის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.09.876. მიწის ნაკვეთის ფართობი: 9327 მ2) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT190021387) **<u>შეწყვეტა</u>**.

მოისმინეს და განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრის ნუგზარ ძნელაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2019 წლის 25 მარტის №27 ხელშეკრულებით გათვალიწინებული შესყიდვის ობიექტის კონტროლისა და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი ჯგუფმა 2019 წლის 26 დეკემბერის N 01-01-22/2763 მოხსენებითი ბარათით სატენდერო კომისიას თხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2019 წლის 11 ნოემბერს ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.09.876. მიწის ნაკვეთის ფართობი: 9327 მ2) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT190021387) შეწყვეტის საკითხის განხილვა. როგორც მოხსენებითი ბარათით ირკვევა, საცხოვრებელი კომპლექსის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლინდა რიგი სავარაუდო უზუსტობები სამშენებლო მოცულობების ნაწილში. აღნიშნულის თაობაზე, 2019 წლის 20 დეკემბრის №01-01-10/6313 წერილით ეცნობა პროექტის ავტორს - ამხანაგობა „ინჟარქიტექტი"-ს, რომელმაც 2019 წლის 26 დეკემბრის №01-01-09/10257 საპასუხო წერილით დაადასტურა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული უზუსტობები და წარმოადგინა კორექტირებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი საექსპერტო დასკვნით. კორექტირებულ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში განხორციელებულია რიგი ცვლილებები, მაგალითად: მშენებლობის უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია დროებითი შენობა-ნაგებობები, მნიშვნელოვნად შეცვლილია და დაზუსტებულია სამშენებლო მოცულობები ფასადის მოპირკეთების ნაწილში და ტიპიური ბინების ელ.მომარაგების ნაწილში, რიგ შემთხვევებში დაზუსტებულია არმატურის მოცულობები, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მთლიანად განფასებულია 2019 წლის მე-4 კვარტლის ფასებით.

მოხსენებით ბარათში დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი NAT190021387 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტას „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

დაადგინეს:

1. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2019 წლის 11 ნოემბერს ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.09.876. მიწის ნაკვეთის ფართობი: 9327 მ2) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (NAT190021387);
2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს შპს „მაქრო ქონსთრაქშენ“-ს;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისთვის შეტყობინებად სატენტერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვისთანავე;
4. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-6

მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა მისი ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: _____ /თ. კუჭავა/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: _____ /ა. სირაბიძე/

კომისიის წევრები: _____ /გ. მიქელაძე/

_____ /ნ. ცინცაძე/

_____ /ნ. ძნელაძე/

კომისიის აპარატის წევრები: _____ /პ. ცეცხლაძე/

_____ /რ. ქათამაძე/

_____ /მ. თედორაძე/

MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY OF AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA

Digitally signed by MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY OF AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
Date: 2019.12.26 23:14:45 +04'00'